

პატივცემულო კოლეგებო!

ქალბატონებო და ბატონებო!

უკანასკნელი 27 წლის განმავლობაში, რაც დევნილობაში ვიმყოფებით, უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში არ გვახსენდება დროის ისეთი მძიმე, რთული და, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, სიცოცხლისთვის სახიფათო მონაკვეთი, როგორც გახლდათ 2020 წლის საშემოდგომო სასესიო პერიოდი უკვე დასრულებული არდადაგების ჩათვლით. მთელს მსოფლიოს მოდებულმა კორონავირუსულმა პანდემიამ უკიდურესად დააზარალა სრულიად საქართველო. გუშინდელი მონაცემებით, დაინფიცირებულთა საერთო რაოდენობა შეადგენს 258 351 ადამიანს, აქედან გარდაცვლილია 3194. მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართულმა სახელმწიფომ, მისმა მთავრობამ, ჯანდაცვის სისტემამ შეუძლებელი შესძლეს - ქვეყანამ გაუძლო პანდემიის პიკს, თავი გაართვა მასთან დაკავშირებულ მწვავე ჯანდაცვით თუ ეკონომიკურ პრობლემებს. როგორც ბოლო დღეების მონაცემები მოწმობენ, ამჟამად ვითარება დასტაბილურდა, თუმცა პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება.

ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, პანდემიამ უკიდურესად შეაფერხა ეკონომიკური აქტიურობა ქვეყანაში, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების, მათ შორის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა. სპიკერატის მიერ მიღებულმა საკმაოდ მკაცრმა ზომებმა, რომლებსაც ჩვენი აპარატი ახორციელებდა, ვერ აგვაცილეს თავიდან კორონავირუსით დაინფიცირების ცალკეული სამწუხარო ფაქტები. საბედნიეროდ, დაინფიცირებულები დღეისათვის გამოჯანმრთელებული არიან და თავს კარგად გრძნობენ. სპიკერატის ვალია შეინარჩუნოს ეს მდგომარეობა, შექმნას პირობები დეპუტატების, აპარატის თანამშრომლების ჯანმრთელობის დასაცავად. მართალია, დაწესებულმა შეზღუდვებმა გარკვეული დისკომფორტი შეგვიქმნეს, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა და, სამწუხაროდ, არც დღეს გვაქვს - სასწორზე ხომ, არც მეტი, არც ნაკლები, ადამიანების ჯანმრთელობა და სოცოცხლე დევს.

შექმნილ ვითარებაში სპიკერატის მთავარ ამოცანას უმაღლესი საბჭოს უპირატესად დისტანციურ რეჟიმში ფუნქციონირების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ საშემოდგომო სასესიო პერიოდში, რომელიც კორონავირუსული პანდემიის პიკს, ასევე უკიდურესად დამაბულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ პოლიტიკურ ბატალიებს დაემთხვა, უმაღლესი საბჭო, მისი აპარატი საკმაოდ გამართულად და ეფექტიანად ფუნქციონირებდნენ. 2020 წლის სექტემბრიდან დღემდე ჩატარებულია 11 პლენარული სხდომა და პრეზიდიუმის 18 სხდომა, ვიხილავდით სამართლებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ, მთავრობის საქმიანობასთან დაკავშირებულ და სხვა მიმდინარე საკითხებს. საშემოდგომო სასესიო პერიოდის განმავლობაში, რეგლამენტის მოთხოვნების სრული დაცვით, ფუნქციონირებდნენ კომიტეტებიც და ფრაქციებიც. მუშაობა მიმდინარეობდა დისტანციურ ან ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში, რომელიც გასული წლის საგაზაფხულო სასესიო პერიოდში ქვეყანაში პირველებმა ჩვენ

ერთობლივად დავნერგეთ და რეგლამენტითაც დავაკანონეთ. სპიკერატს, დეპუტატებისა და აპარატის თანამშრომელთა გარკვეულ ნაწილს ერთი წუთითაც არ დაუტოვებიათ სამუშაო ადგილი და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდნენ მუშაობას, თუმცა ეს მუშაობა იყო და ჯერ კიდევ არის დაინფიცირების საფრთხესთან დაკავშირებული.

კორონავირუსული პანდემიის პირობებში უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად რჩებოდა როგორც დეპუტატებისა და თანამშრომლების უსაფრთხოებაზე ზრუნვა, ისე ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგო სამთავრობო ღონისძიებებში მონაწილეობა. შესაძლებლობის ფარგლებში ყურადღებას ვაქცევდით ოკუპირებულ ტერიტორიასაც. ისე გამოვიდა, რომ ჩვენ ერთგვარი შეფობაც კი ავიღეთ კორონავირუსისგან განსაკუთრებით დაზარალებულ გალის რაიონის სოფელ საბერიოზე. ადგილობრივ მედპერსონალს უაღრესად მძიმე, შეიძლება ითქვას, გაუსადმლის პირობებში უხდებოდა პანდემიასთან გამკვლავება. ჩვენი სახსრებით, ასევე აფხაზეთის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს თანადგომით შევიძინეთ და საბერიოს სამედიცინო ამბულატორიას, იქაური მედპერსონალის მიერ წარმოდგენილი თხოვნის თუ მოთხოვნის შესაბამისად, გადავეცით საჭირო რაოდენობის სამედიცინო აღჭურვილობა, ასევე ჟანგბადის ბალონები.

რთული ვითარება იყო მთლიანად აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. გუშინდელი მონაცემებით, დაინფიცირებულთა საერთო რაოდენობა შეადგენს 11 564-ს, გარდაცვლილია 178 ადამიანი, მათ შორის ექვსი გუშინ დაიღუპა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ უმაღლესი საბჭო, სოციალურ-ეკონომიკურ, ჯანდაცვისა და ნდობის აღდგენის კომიტეტი ბატონ რუდიკ ცატავას ხელმძღვანელობით არა მხოლოდ კონტროლს ახორციელებდა აღნიშნული მიმართულებით ჩვენი მთავრობის საქმიანობაზე, არამედ უშუალოდაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან კოვიდინფიცირებულთა გადმოყვანის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი, გასაგები მიზეზების გამო, რამდენადმე გართულებულია, მარტო კომიტეტის თავმჯდომარის ჩართულობით მოხერხდა კორონავირუსით დაინფიცირებული 67 ადამიანის გადმოყვანა და შესაბამის კლინიკებში მოთავსება. სამკურნალოდ გადმოყვანილთა უმეტესობა ეთნიკური აფხაზებია. რა თქმა უნდა, ეს მუშაობა საგაზაფხულო სასესიო პერიოდშიც, უფრო კონკრეტულად, პანდემიის დასრულებამდე უნდა გავაგრძელოთ.

კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგო სამთავრობო ღონისძიებების შემადგენელი ნაწილი გახლავთ ზრუნვა პანდემიის შედეგად დაზარალებულ ადამიანებზე, იმ მოწყვლად ჯგუფებებზე, რომლებიც შიმშილობენ ან შიმშილის ზღვარზე იმყოფებიან. მოგეხსენებათ, დევნილთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება. მათთვის დახმარების აღმოჩენა, მათი ტკივილის გაზიარება ჩვენი წმინდათა-წმინდა ვალია, უმაღლესი საბჭოს პირდაპირი

მოვალეობაა. აღნიშნული მოვალეობის შეგნებითა და გათავისებით იყო ნაკარნახევი 2020 წლის 16 ივლისს ა(ა)იპ „სოციალური სოლიდარობისათვის“ დაფუძნება. აფხაზეთიდან დევნილთა შორის ა(ა)იპ-ი ახორციელებს ჰუმანიტარულ აქციებს დეპუტაციისა და აპარატის თანამშრომელთა უდიდესი უმრავლესობის მიერ ყოველთვიურად საკუთარი ხელფასებიდან გაღებული სახსრებით. როგორც ცნობილია, ჩვენი ერთობლივი გადაწყვეტილებით, ჰუმანიტარული აქციების ჩატარება ჯერჯერობით მიმდინარე წლის ბოლომდეა დაგეგმილი. მარტო განვლილი სასესიო პერიოდის განმავლობაში თქვენ, პატივცემულო კოლეგებო და აპარატის თანამშრომლებო, საკვები პროდუქტებით დაეხმარეთ 689 ოჯახს ანუ 3100 ადამიანს; მთლიანობაში კი 2020 წლის მარტიდან ჰუმანიტარული დახმარება აღმოჩენილია 1113 ოჯახისთვის ანუ 5008 ადამიანისთვის. მათ შორის იყვნენ და არიან სოციალურად დაუცველები, ბავშვები, ხანდაზმულები, წარმოიდგინეთ, ვეტერანებიც კი, ასევე სხვა კატეგორიის ადამიანები. განვლილ სასესიო პერიოდში მოხერხდა ჰუმანიტარული მიზნებისთვის შეძენილი პროდუქტების მცირე ნაწილის ენგურს გაღმა გადაგზავნა. ვეძებთ გზებს და საშუალებებს, რათა დახმარება მივაწოდოთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხანძრის შედეგად დაზარალებულ ჩვენს მოქალაქეებსაც. მაღლობა თქვენ ასეთი გულისხმიერებისთვის, დევნილებზე არა მაღალფარდოვანი სიტყვებით „ზრუნვისთვის“, არამედ მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დახმარების აღმოჩენისთვის. მაღლობა ა(ა)იპ „სოციალური სოლიდარობისათვის“ ხელმძღვანელს ქ-ნ ნანა კვარაცხელიას, ასევე ნათია დარსანიას, გიგა შელიას, შორენა გაწერილიას, ბექა ფაცაცას, ხვიჩა და ნიკა ქარდავებს, ზურაბ ქეცბაიას, სხვა თანამშრომლებს. მათი მონდომებისა და, ხაზი მინდა გავუსვა, მძიმე ფიზიკური შრომის შედეგია სხვადასხვა ქალაქებსა და დევნილთა ჩასახლებებში, აფხაზეთის ცალკეულ სკოლებში ჰუმანიტარული აქციების ორგანიზებულად ჩატარება. საუბარია, ბატონებო, ტონობით პროდუქტის შეძენაზე, სატრანსპორტო საშუალებებში მის ჩატვირთვა - ჩამოტვირთვაზე, ოფისში ამოტანაზე, დაფასოებაზე, ისევ ქვემოთ ჩატანაზე და ა. შ. დამეთანხმებით, ეს ნამდვილად არის მძიმე, უკიდურესად დამღლელი ფიზიკური შრომა, რომელიც სულაც არ შედის თანამშრომლების სამსახურებრივ მოვალეობაში, მაგრამ ჩვენს ახალგაზრდებს, კარგად აქვთ რა შეგნებული ჰუმანიტარული აქციის მნიშვნელობა, ძალღონეს არ იშურებენ მის განსახორციელებლად.

აქვე მინდა შევახსენო განსაკუთრებით შეჭირვებულ დევნილებს, მრავალშვილიან ოჯახებს, სოციალურად დაუცველებს, ყველა იმ ადამიანს, ვისაც ეკუთვნის, მაგრამ ჩვენგან დახმარება ჯერ არ მიუღია, მიმართეთ განცხადებით უმაღლეს საბჭოს „ცხელი ხაზის“ მეშვეობით, მიმართეთ ნებისმიერ დეპუტატს ან უშუალოდ ა(ა)იპ-ს „სოციალური სოლიდარობისათვის“ და თქვენ აუცილებლად მიიღებთ დახმარებას. ცნობისთვის ვიტყვი, რომ საკვები პროდუქტებით დახმარების თაობაზე დევნილთა განცხადებები უწყვეტად შემოდის.

ისევე როგორც 2020 წლის საშემოდგომო სესიის გახსნაზე, ამჯერადაც მივმართავთ აფხაზეთის მთავრობას, ყველა კეთილი ნების ადამიანს ჩაერთონ სოციალური სოლიდარობის აქციაში, რომლის მიზანია უკიდურესად შეჭირვებული დევნილების დახმარება, პანდემიის პირობებში შიმშილობასთან ბრძოლაში სახელმწიფოს თანადგომა. ჩვენს მიმართვაზე სათანადო რეაგირება ჯერ არ ყოფილა, მაგრამ მაინც იმედიანად ვართ - აფხაზეთის უმაღლესი საბჭო არ დარჩება ერთადერთ სახელისუფლებო ორგანოდ საქართველოში, რომელიც საკუთარი ხელფასებით ახორციელებს ჰუმანიტარულ აქციებს, რომელიც ცდილობს სიდუხჭირეში ჩავარდნილი დევნილების ყოფის შემსუბუქებას პირადი შემოწირულობებით.

ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო და არის ოკუპირებული ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური ვითარების ანალიზი, იქ მიმდინარე პროცესების შეფასება და მათზე ადექვატური რეაგირება. გასული წლის განმავლობაში აფხაზეთში აქტიურად განიხილებოდა რუსეთის ფედერაციის მიერ წლების წინ შემოთავაზებული ვერაგული გეგმა - კანონმდებლობის ჰარმონიზაციის გზით რუსეთსა და აფხაზეთს შორის საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის ფორმირების პროგრამა. ასეთი პროგრამის მიღებას ითვალისწინებდა 2014 წლის 24 ნოემბერს მოსკოვსა და სოხუმს შორის დადებული ე. წ. ხელშეკრულება „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“. აფხაზური საზოგადოება კარგად აცნობიერებდა რა „საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის“ იდეაში ჩადებულ საფრთხეს, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მის განხორციელებას, დე-ფაქტო ხელისუფლება კი იძულებული იყო ანგარიში გაეწია საზოგადოებისათვის. კრემლი არ ახდენდა მოვლენების ფორსირებას და ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა. ეს მომენტიც 2020 წელს დადგა, როდესაც აფხაზეთი ხელოვნურად შექმნილმა უმწვავესმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, ფინანსურმა, ენერგეტიკულმა და, ბოლოს, ეპიდემიოლოგიურმა კრიზისმა მოიცვა. რუსეთმა ისარგებლა ყოველივე ამით და 2020 წლის 12 ნოემბერს ასლან ბჟანიას და ალექსანდრე ანჟეაბს ხელი მოაწერინა რუსეთსა და აფხაზეთს შორის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის გზით საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის ფორმირების 45 პუნქტიან „პროგრამაზე“. როდესაც აღნიშნული „პროგრამა“ ჯერ კიდევ პროექტის სახით არსებობდა და მის თაობაზე აფხაზურ საზოგადოებაში ცხარე დისკუსიები მიმდინარეობდა, 2020 წლის საშემოდგომო სესიის გახსნაზე წარმოდგენილ მიმართვაში, გაჟღერდა შემდეგი დასკვნა: „მოვლენების განვითარება გვიჩვენებს, რომ არც თუ ისე შორეულ მომავალში აფხაზეთი ანექსიის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდება“. სამწუხაროდ, ხუთი თვის წინ გაკეთებული დასკვნა გამართლდა, თუმცა ანექსიის საფრთხის არსებობის შესახებ უმაღლესი საბჭო წლებია საუბრობს. სამ წელიწადზე (2021-2023) გათვლილი საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის ფორმირების „პროგრამა“, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, წარმოადგენს ოკუპირებული აფხაზეთის რუსეთის სამართლებრივ სივრცეში

ინტეგრაციის ანუ მისი ანექსიის გეგმას. ფაქტობრივად აფხაზეთში შექმნილია ახალი რეალობა.

მიუხედავად იმისა, რომ პერმანენტული კრიზისებით ქანცგაწყვეტილი, დამშეული და დაშინებული აფხაზური საზოგადოება ჯერ-ჯერობით ხმას არ იღებს, ავტონომიური რესპუბლიკაში მთელი პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება რუსეთთან ხემოწერილი ამ ე. წ. პროგრამის გარშემო ტრიალებს. აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების თავკაცებმა მშვერივრად იციან, რომ მათ მიერ 12 ნოემბერს ხელმოწერილი დოკუმენტი აფხაზურ საზოგადოებაში უკიდურესად არაპოპულარულია. იმდენად დიდია ჯერ-ჯერობით ჩუმი უკმაყოფილება, რომ ახლო მომავალში არ არის გამორიცხული აფხაზეთში ახალი მასობრივი საპროტესტო გამოსვლების მოწმენი გავხდეთ. სწორედ ამიტომ იგივე ასლან ბჟანია ცდილობს საზოგადოების დაშინებას ქართული სამხედრო პოტენციალის ზრდით, მთიანი ყარაბაღის სცენარის შესაძლო განმეორებით და სხვა მოგონილი საფრთხეებით. მათი თავიდან აცილება, დე-ფაქტო პრეზიდენტის თქმით, შესაძლებელია, 12 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმების შესრულებით, რუსეთთან კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობით და ა. შ. ამაზე საუბრობდა ბატონი ა. ბჟანია საზოგადოების წარმომადგენლებთან, ასევე 1991 წლის მოწვევის უმაღლესი საბჭოს წევრებთან - ჩვენს ყოფილ კოლეგებთან 29 იანვარს გამართულ შეხვედრებზე. აფხაზეთის დე-ფაქტო მმართველები ძალიან ხშირად აკავშირებენ ერთმანეთთან მთიანი ყარაბაღის მოვლენებს, ქართულ სამხედრო „საფრთხეს“ და 12 ნოემბრის დოკუმენტის შესრულების აუცილებლობას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კრემლი მართლა დაემუქრა აფხაზურ მხარეს ქართული სამხედრო „საფრთხითა“ და მთიანი ყარაბაღის სცენარის განმეორებით, თუ ის დაუყოვნებლივ ხელს არ მოაწერდა საბედიწერო დოკუმენტზე - პროგრამაზე ერთიანი სოციალური და ეკონომიკური სივრცის ფორმირების შესახებ.

აფხაზებისთვის ყველაზე საბედისწერო, ყველაზე დამლუპველი და, შესაბამისად, მიუღებელი გახლავთ „პროგრამის“ მეორე პუნქტი რუსეთსა აფხაზეთს შორის მიმდინარე წელსვე ორმაგი მოქალაქეობის შემოღების შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსები ზუსტად ისევე მიიღებენ აფხაზეთის მოქალაქეობას, როგორც აფხაზები ღებულობდნენ ადრე და მომავალშიც მიიღებენ რუსეთის მოქალაქეობას. აქ ყველაფერი ცხადზე უცხადესია - სულ რამდენიმე წელიწადში დემოგრაფიული ვითარება აფხაზეთის რუსეთთან შეერთების მომხრეთა სასარგებლოდ შეიცვლება, მათ ხელში აღმოჩნდება დღეისათვის „უპატრონოდ“ დარჩენილი უძრავი ქონება ანუ ყოველივე ის, რაც ჩვენ, დევნილებმა, იქ დავტოვეთ (მოგეხსენებათ, დე-ფაქტო კანონმდებლობით, ჩვენს ქონებას „უპატრონო“ ქონების სტატუსი აქვს მინიჭებული). სწორედ ამ ქონების ხელში ჩაგდება წარმოადგენს რუსეთის ერთ-ერთ მიზანს. ორმაგი მოქალაქეობის დაშვების შემთხვევაში პრორუსული ძალები არა მხოლოდ ქონებას დაეუფლებიან, არამედ ძალაუფლებასაც მოიპოვებენ, მათი დომინირებით

ჩატარდება დე-ფაქტო არჩევნები, საჭიროების შემთხვევაში, რეფერენდუმები და ა. შ. აი, რა საფრთხის წინაშე დგას აფხაზეთი.

კრემლის გეგმები ნათელია, ვითარებაც უკიდურესად მძიმეა, მაგრამ არა მგონია XXI საუკუნეში ანექსიონისტური მიზნების განხორციელება რუსეთმა მარტივად მოახერხოს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ცალსახა საერთაშორისო მხარდაჭერა ასახულია გაეროს გენერალური ასამბლეის, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს, ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ეუთოს, ნატოს მრავალრიცხოვან რეზოლუციებში. უადრესად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ რეზოლუციებში მოცემული ფუნდამენტური ხასიათის ცალკეული პოლიტიკური შეფასებები დადასტურებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის ამა წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებაშიც. როგორც თქვენთვის ცნობილია, ამ ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებაში ცხინვალის რეგიონთან ერთად აფხაზეთიც მოხსენიებულია როგორც რუსეთის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორია, სადაც განხორციელდა ეთნიკური წმენდა; ნათქვამია, რომ სწორედ რუსეთი დღემდე არ აძლევს ადამიანებს საკუთარ სახლებში დაბრუნების საშუალებას. ეს არის საკმაოდ მძიმე განაჩენი კრემლისთვის, რომელიც, დიდი იმედი უნდა ვიქონიოთ, კიდევ უფრო დამძიმდება ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მომავალი განჩინებით. ყოველივე ამით კრემლის წინაშე აღიმართება სერიოზული სამართლებრივი ბარიერი ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ანექსიის გზაზე. ამ ბარიერის გადალახვა რუსეთს ძალიან გაუჭირდება. უფრო მეტიც, სტრასბურგის, მომავალში კი ჰააგის სასამართლოების გადაწყვეტილებები გახდება საფუძველი დეოკუპაციის სახელმწიფო პოლიტიკის გააქტიურებისთვის, დეოკუპაციის პროცესის დაჩქარებისთვის და არალიარების პოლიტიკის კიდევ უფრო მეტი წარმატებისთვის.

რადგანაც საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციები ვახსენეთ და ვსაუბრობთ საერთაშორისო სასამართლოების მიერ უკვე მიღებული და მომავალში სავარაუდოდ მისაღები გადაწყვეტილებების სამართლებრივ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, უპრიანია აქვე შევხვოთ უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთ პროექტს. ეს არის აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჯერ მშობლიურ ენაზე განათლების უფლების დარღვევის, შემდგომში კი ქონებრივი საკითხების ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრება. როგორც თქვენთვის ცნობილია, სტრასბურგის მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებაში, სამწუხაროდ, არ არის დაკმაყოფილებული სარჩელის ის ნაწილი, რომელიც განათლების სფეროს შეეხებოდა. აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო ზრდის უმაღლესი საბჭოს პასუხისმგებლობას. როგორც განათლების, ისე სხვა საკითხებზე უნდა მომზადდეს სამართლებრივად გამართული ისეთი სარჩელები, რომელთა პერსპექტივა შესაბამის სასამართლოებში ეჭვს ქვეშ არ დადგება. გვაქვს საფუძველი ვიყოთ ამბიციურები და საკუთარ თავში დარწმუნებულები, რადგანაც ბატონების ნოდარ თოფურიძის, გიორგი გვასალიას,

ირაკლი დბარის სახით ჩვენს გვერდით იღწვიან მაღალი რანგის პროფესიონალები და მოტივირებული ადამიანები.

აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე გარკვეული გავლენა იქონია საგარეო პოლიტიკის კონცეფციამ, რომელიც დე-ფაქტო მმართველმა ა. ბჟანიამ 2020 წლის 4 დეკემბერს დაამტკიცა. ამ ე. წ. კონცეფციამ აფხაზეთში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია მხოლოდ იმის გამო, რომ მასში სოხუმი გამოთქვამს მზადყოფნას, ჟენევის დისკუსიების პარალელურად, ქართულ მხარესთან აწარმოოს მრავალდონიანი პირდაპირი მოლაპარაკებები ჰუმანიტარულ და სხვა მიმდინარე საკითხებზე - ისეთ საკითხებზე, რომლებიც ჟენევაში არ განიხილება. მზაობა ამგვარი დიალოგისთვის საქართველოს მთავრობას ყოველთვის ჰქონდა და მომავალშიც ექნება, მაგრამ საქართველო არასოდეს არ აღიარებს აფხაზეთის ე. წ. რესპუბლიკას, რომელიც უკვე საერთაშორისო სასამართლომაც ცნო უცხო ქვეყნის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ მყოფ ანუ ოკუპირებულ ტერიტორიად. შეუძლებელია უცხო ქვეყნის მირ კონტროლირებად ტერიტორიასთან „თანასწორუფლებიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობის“ დამყარება, რომელიც დაეფუძნება „ურთიერთაღიარებას, სუვერენიტეტის პატივისცემას და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას“, როგორც ამის შესახებ ვკითხულობთ „კონცეფციაში“. სწორედ მსგავსი ჩანაწერის გამო ქართული მხარე დიდი აღტაცებით არ შეხვედრია სოხუმის შემოთავაზებას. რაც შეეხება მხარეებს შორის სხვადასხვა დონეზე უშუალო დიალოგის წარმოებას ცალკეულ საჭირობო საკითხებზე, ვიმეორებ, ეს წინადადება სავსებით მისაღებია. მსგავსი დიალოგი მეტნაკლები ინტენსიურობით ისედაც მიმდინარეობს, მაგრამ თუ ის კიდევ უფრო გააქტიურდება, გახდება ორიენტირებული შედეგზე ანუ მხარეებს შორის ნდობის აღდგენაზე და შერიგებაზე, ასეთ დიალოგს მხოლოდ უნდა მივესალმეთ.

აფხაზურ საზოგადოებასთან ნდობის აღდგენისა და შერიგების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობა, მოგეხსენებათ, იყო და რჩება უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. ამით არის დაკავებული კომიტეტი ბატონ რუდიკ ცატავას ხელმძღვანელობით. კორონავირუსულმა პანდემიამ აშკარად შეუშალა ხელი ყველასათვის კარგად ცნობილი და ენგურს გაღმაც საკმაოდ პოპულარული სახელმწიფო პროგრამის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, ასევე სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ქვეპროგრამის - „აწარმოე უკეთესი მომავლისთვის“ სრულად ამოქმედებას. იმედია, ეპიდემიოლოგიური ვითარების სტაბილიზაციის კვალობაზე ეს ხარვეზი თანდათანობით გამოსწორდება. ჩემი ინფორმაციით აფხაზეთში, თვით დე-ფაქტო ხელისუფლებაშიც არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ ქართულ მხარესთან ეკონომიკური კავშირის აღდგენა და ამის შესახებ არა მხოლოდ საუბრობენ, არამედ გარკვეული ნაბიჯების გადადგმასაც აპირებენ. ჩვენი მხრიდან კი დავძენთ, რომ ზემოხსენებული პროგრამითა და ქვეპროგრამით გათვალისწინებული ეკონომიკური კავშირებისა და სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა, ოკუპირებულ

ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სახელმწიფოს ხარჯზე საქართველოში თუ საზღვარგარეთ ყველა დონის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა გახლავთ საუკეთესო საშუალება შერიგებისა და ნდობის აღდგენის საქმეში.

კვლავინდებურად კარგად მუშაობს ჯანდაცვის პროგრამა. მის განხორციელებაში ჩვენს მთავრობასთან ერთად აქტიურადაა ჩართული უმაღლესი საბჭოს სოციალურ-ეკონომიკური, ჯანდაცვისა და ნდობის აღდგენის კომიტეტი. გასული წლის საშემოდგომო სესიის გახსნისას გვქონდა საშუალება უმაღლესი საბჭოსთვის მოგვეხსენებინა კომიტეტის მიერ ენგურს გაღმა მოსახლეობასთან დამყარებული კავშირის შესახებ, რომელიც არა თუ არ შესუსტებულა პანდემიის გამო, პირიქით, უფრო განმტკიცდა და მუშაობს გამართულად. ყოველდღიურად, მათ შორის შაბათ-კვირასაც, კომიტეტის თავმჯდომარისგან ვიღებთ ინფორმაციას აფხაზეთიდან ავადმყოფთა გადმოყვანისა და მათი მკურნალობის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ბევრ სხვა საკითხზე, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიას, მის მოსახლეობას ეხება. არ შემძლია არ აღვნიშნო, რომ ბატონ რუდიკს მუშაობა მაშინაც არ შეუწყვეტია, როცა რამდენიმე დღის განმავლობაში თავად მოუწია კლინიკაში მკურნალობა. მისი უშუალო მონაწილეობით ენგურსგაღმიდან დღემდე გადმოყვანილია 430 ავადმყოფი კოვიდინფიცირებულთა ჩათვლით. ალბათ, დამეთანხმებით, შთამბეჭდავი ციფრია, რომლის უკან უზარმაზარი შრომა დგას. ცხადია, მუშაობა ამ მიმართულებით გაგრძელდება.

უმაღლესი საბჭოს, როგორც საკანონმდებლო ორგანოს, უპირველესი მოვალეობა, მოგეხსენებათ, საკანონმდებლო საქმიანობაა. უმაღლესი საბჭოს ოთხივე კომიტეტი მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობაში. გარდა ამისა, საშემოდგომო სასესიო პერიოდში დამტკიცდა ცვლილებები აფხაზეთის კანონში ნორმატიული აქტების შესახებ. კანონი მოყვანილია სრულ შესაბამისობაში საქართველოსა და აფხაზეთის კანონმდებლობასთან (კანონპროექტის ავტორი იყო იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი). კომიტეტებისა და ფრაქციების აქტიური ჩართულობით 2020 წლის ბოლოს დავამტკიცეთ კანონი 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ბიუჯეტის განხილვისას ჩვენ მოვისმინეთ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ბატონ მურმან კვარაცხელიას ყოველმხრივ დასაბუთებული მოხსენება, რომელიც ობიექტურ შეფასებას, კონკრეტულ წინადადებებს და რეკომენდაციებს შეიცავდა. მოხსენებამ კოლეგებისა და მთავრობის წევრების მოწონება დაიმსახურა. ბიუჯეტთან დაკავშირებით მინდა ყურადღება ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილო. უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 95-ე მუხლის მეხამე პუნქტის თანახმად, ჩვენ გვევალება რესპუბლიკური ბიუჯეტის არა მხოლოდ დამტკიცება, რასაც ყოველთვის ვაკეთებდით, არამედ მისი სისტემური ანალიზიც - იმის მსგავსი ანალიზი, პარლამენტში საბიუჯეტო ოფისი რომ ახორციელებს. სამწუხაროდ, მოლოდინი არ



გამართლდა - არანაირი სისტემური ანალიზი ბიუჯეტისა არ ხორციელდება მასზე პასუხისმგებელი პირის უპასუხისმგებლობის გამო. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ფუნქციის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისთვის გადაცემა. ვფიქრობთ, კომიტეტი პროფესორ მურმან კვარაცხელიას ხელმძღვანელობით, მაღალი რანგის სპეციალისტებით დაკომპლექტებული მისი აპარატი, ამ დამატებით ფუნქციასაც წარმატებით გაართმევენ თავს. გთხოვთ, ბატონო მურმან, შეუდგეთ კომიტეტის დებულებაში, ასევე აპარატის წევრთა თანამდებობრივ აღწერილობებში შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადებას.

ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა მოამზადა და საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტთან ერთად წარმოადგინა ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სხვადასხვა ფორმით ხელყოფისთვის პასუხისმგებლობის გამკაცრებას ითვალისწინებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამა წლის 28 იანვარს უმაღლეს საბჭოში შედგა უაღრესად საჭირო და სასარგებლო კონსულტაციები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორთან ბატონ ნიკოლოზ ანთიძესთან. მასში მონაწილეობა მიიღეს ბატონებმა ნუგზარ მაგლობლიშვილმა, ვახტანგ ყოლბაიამ, ზურაბ ჯგუბურიამ, ნოდარ თოფურიძემ, გიორგი გვასალიამ, თამაზ სანიკიძემ, აგრეთვე აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა. როგორც შევთანხმდით, თებერვლის შუა რიცხვებში იმავე შემადგენლობით გაიმართება დასკვნითი შეხვედრა, რათა დასრულდეს პოზიციების შეჯერება და კანონპროექტის საბოლოო სახით ჩამოყალიბება. თებერვლის ბოლოს, არაუგვიანეს მარტის დასაწყისისა, ვფიქრობთ, უმაღლეს საბჭოში მოესწრება აუცილებელი პროცედურების გავლა, რის შემდეგაც კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს წარედგინება.

როგორც კოლეგებისთვის კარგად არის ცნობილი, გასული წლის ივნისში საქართველოს პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ. კანონპროექტის მიზანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის საქართველოს მოქალაქეობის მიღების გამარტივება. პარლამენტის ბიურომ კანონპროექტი განსახილველად მიიღო, მაგრამ 2020 წლის შემოდგომაზე, გასაგები მიზეზების გამო, განხილვა ვერ მოესწრო. ამა წლის 20 იანვარს წერილობით მივმართეთ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის პროცედურების დაწყების დაჩქარების თაობაზე. ჩვენს მიერ შეთავაზებული ცვლილებების მიღებას, ნათქვამია მიმართვაში, აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა რუსეთის მიერ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებისთვის ორმაგი მოქალაქეობის შესახებ წაყენებული მოთხოვნის ფონზე, რომელიც მიმდინარე წელს უნდა დაკმაყოფილდეს.

საგაზაფხულო სასესიო პერიოდში გაგრძელდება საქართველოს პარლამენტში კიდევ სხვა საკანონმდებლო ინიციატივების წარდგენა, რომელთა მიზანი იქნება დევნილთა სოციალური და ქონებრივი უფლებების დაცვა. უკვე მზად არის წინადადება და ამ დღეებში დაიწყება მუშაობა ცვლილებებზე საქართველოს კანონში ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ. ბატონები დავით გვამაზია, აკაკი გასვიანი, ვახტანგ ყოლბაია, ექვიც არ გვეპარება, უზრუნველყოფენ კანონპროექტის დროულად მომზადებას, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მის შეთანხმებას, რათა მიმდინარე სასესიო პერიოდის დასრულებამდე მოესწროს საქართველოს პარლამენტში შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენა.

მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე. გასული წლის 12 ნოემბერს მოსკოვისა და სოხუმის მიერ ხელმოწერილი ზემოთ ნახსენები „პროგრამის“ თანახმად, უკვე 2021-2022 წლებიდან დაიწყება დევნილთა ქონების გასხვისება რუსეთის იმ მოქალაქეებზე, რომლებსაც აფხაზეთის მოქალაქეობასაც მიანიჭებენ. ყველამ ვიცით, რომ ქართული კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო სამართლის მიხედვითაც, აფხაზეთში დარჩენილი დევნილთა საკუთრება ხელშეუხებელია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ოკუპანტებისაგან მის დასაცავად. აუცილებელია დამატებითი ზომების მიღება. ასეთ ზომებად გვესახება საჯარო რეესტრში დევნილთა საკუთრების რეგისტრაციის დაშვება. აღნიშნულის თაობაზე ჯერ კიდევ 2019 წლის ბოლოს პარლამენტში წარვადგინეთ ვრცელი და დასაბუთებული მოხსენებითი ბარათი; დასაჩქარებელია აგრეთვე რესტიტუციის კანონის მიღება. სასურველია, რომ კანონპროექტი უმაღლესმა საბჭომ და მთავრობამ ერთობლივად მოამზადონ. დევნილთა საკუთრების უფლების ყველაზე ეფექტური დაცვა შესაძლებელია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. აღნიშნული საკითხებით უნდა დაკავდნენ ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტთან ერთად.

2020 წლის 12 ნოემბერს ხემოწერილი „პროგრამიდან“ მომდინარე სხვა საფრთხეებსაც უმაღლესი საბჭო სამართლებრივი გზებით უნდა დაუპირისპირდეს. საჭიროა აფხაზეთის დე-ფაქტო კანონმდებლობის რუსეთის კანონმდებლობასთან ე. წ. ჰარმონიზაციის პროცესში მიღებული ყველა ახალი „კანონის“, ასევე არსებულ „კანონებში“ დაგეგმილი ცვლილებების კარგად შესწავლა, მათი საფუძვლიანი ანალიზი; აუცილებელია აგრეთვე 12 ნოემბრის „პროგრამით“ გათვალისწინებული სხვადასხვა შეთანხმებების, მემორანდუმების შესწავლა და ყველაფერ ამაზე დროული სამართლებრივი რეაგირება. ვინაიდან „პროგრამა“ მოიცავს აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ -ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს, პასუხისმგებლობა ეკისრება ოთხივე კომიტეტს, მათ თავმჯდომარეებს - ბატონებს აკაკი გასვიანს, ნუგზარ მგალობლიშვილს, მურმან კვარაცხელიას და რუდიკ ცატავას. კომიტეტებმა, პირველ

რიგში, კარგად უნდა გაიაზრონ ამ ე.წ. პროგრამის ის პუნქტები, რომლებიც უშუალოდ მათ ეხებათ და შემდგომში თვალყური მიადევნონ კანონმდებლობის ვითომ ჰარმონიზაციის, არსებითად კი აფხაზეთის ანექსიის პროცესს, რათა ყოველ ცალკეულ ფაქტზე, ყოველ შემთხვევაზე უმაღლესმა საბჭომ დროულად მოახდინოს ადეკვატური რეაგირება. მიმდინარე სასესიო პერიოდში - ივნისში - უნდა დასრულდეს 12 ნოემბრის „პროგრამის“ მხოლოდ მე-4 პუნქტის რეალიზაცია ანუ რუსეთის მიერ აფხაზეთში ელექტროქსელების ინფრასტრუქტურის, მათ შორის მაღალი ძაბვის ხაზების მოდერნიზაცია. ცნობილია, რომ „მოდერნიზაციის“ შემდეგ, რომელსაც წინასწარი გათვლებით 11 მილიარდი რუბლი დასჭირდება, აღნიშნული ქსელები რუსეთის საკუთრებაში გადავა. ეს პუნქტი ალბათ ბატონ რუდიკს უფრო ეხება.

12 ნოემბრის „პროგრამის“ ერთ-ერთი პუნქტის განხორციელება ფაქტობრივად უკვე დაწყებულია. მხედველობაში მაქვს მე-7 პუნქტი, რომელსაც ჰქვია: „საინვესტიციო პარტნიორობის შესახებ აფხაზეთის კანონის შემუშავება და მიღება“. „კანონი“ ჯერ არ მიუღიათ, მაგრამ რუსეთის ანექსიონისტური პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი - „საინვესტიციო პარტნიორობა“ უკვე მიმდინარეობს. ასე მაგალითად, ამა წლის 16 იანვარს ბატონმა ა. ბუჩანიამ ტამიშში ჩაიყვანა უმსხვილესი რუსული ტურისტული კომპანიის „ბიბლიო-გლობუსის“ მფლობელი, ყოფილი „კეგებშინიკი“ ალექსანდრე ტუგოლუკოვი, რომელიც იქ უზარმაზარ ტურისტულ კომპლექსს ააშენებს. სამუშაოები უკვე დაწყებულია და 7-8 თვეში დასრულდება. მშენებლობა საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავს; სავარაუდოდ, მას არაერთი დევნილის სახლკარი შეეწირება. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვფლობთ საკმარის ბერკეტებს ამ აშკარად უკანონო მშენებლობის შესაჩერებლად, მაგრამ ხმამაღლა უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ ეს ობიექტი ჩამოერთმევა ბატონ ა. ტუგოლუკოვს და საკუთრებაში გადაეცემა სოფელ ტამიშის მკვიდრთ, რომლებიც ტურისტული კომპლექსის აქციონერები გახდებიან. სამართლებრივად დასაბუთებული (სასურველია, სასამართლოს გადაწყვეტილების სახით) ეს ჩვენი განზრახვა „ბიბლიო-გლობუსის“ მფლობელს მიეწოდება. ასეთივე ბედი უნდა გაიზიაროს ოკუპანტი სახელმწიფოს ყველა წარმომადგენელმა, ვინც დაარღვევს საქართველოს კანონმდებლობას, ვინც ინვესტიციების განხორციელების საფარქვეშ დააპირებს აფხაზეთის ანექსიის პროცესისთვის ხელშეწყობას.

არსებობს სხვა „საინვესტიციო“ ანუ ანექსიონისტური პროექტებიც. განსაკუთრებით საყურადღებოა სოხუმის აეროპორტის 2024 წლის იანვრისთვის ამოქმედების გეგმა. რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრო უკვე შეუდგა შესაბამისი პროექტის დამუშავებას. რატომ 2024 წლის იანვარში? როგორც ვიცით, რუსეთი 2023 წლისთვის გეგმავს ე. წ. საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის შექმნის პროგრამის განხორციელებას, აფხაზეთის ანექსიისთვის მყარი სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლების შექმნას. მხოლოდ ამის შემდეგ აპირებს კრემლი სოხუმის აეროპორტის აღდგენას თავისთვის და არა აფხაზეთისთვის. წინასწარი მონაცემებით, აეროპორტში

ათასი ადამიანი დასაქმდება. მათი დიდი უმრავლესობა, ცხადია, რუსი სპეციალისტები იქნებიან. სოხუმის აეროპორტის ამოქმედების გეგმა თუ განხორციელდა, მოსკოვი კიდევ ერთხელ დაარღვევს საერთაშორისო სამართალს. ეს იქნება ახალი სერიოზული გამოწვევა, რომლისთვისაც ქართულმა მხარემ, მათ შორის ჩვენც აქედანვე უნდა დავიწყოთ მზადება.

მიუხედავად პანდემიისა, გრძელდებოდა ჩვენს მიერ 2019 წლის შემოდგომაზე გამოცხადებულ პროექტებზე მუშაობა. ვერ ვიტყვით, რომ საუკეთესო შედეგები გვაქვს - მიზეზები კი ცალსახად ობიექტურია. პროექტში, რომელსაც ბატონი ნოდარ თოფურიძე ახორციელებს, ვფიქრობთ, გარკვეული კორექტივები უნდა შევიდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის ამა წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების გათვალისწინებით. უმაღლესი საბჭო ზრუნავდა და კვლავაც იზრუნებს იმისათვის, რომ ჩვენთან მომზადდეს არა მხოლოდ სამართლებრივად გამართული სარჩელები, არამედ მათ ჰქონდეთ სათანადო პოლიტიკური უზრუნველყოფაც. ვგულისხმობთ იმ პოლიტიკური რეზოლუციების შინაარსს, რომლებსაც საერთაშორისო ორგანიზაციები ღებულობენ საქართველოში არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით. სასურველია, აღნიშნულ რეზოლუციებში წინასწარ აისახოს გალის რაიონში ადამიანის უფლებათა შუასაუკუნეობრივი მეთოდებით დარღვევის ისეთი მკაცრი შეფასებები, რომლებიც შემდგომში საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებებში გვინდა ვიხილოთ. მუშაობა ამ კუთხით დაწყებულია. მოვიტან ერთ კონკრეტულ მაგალითს. გასული წლის თებერვალში ბატონ ზურაბ ჯგუბურიასთან და ნოდარ თოფურიძესთან ერთად გახლდით ევროსაბჭოში, რომელსაც 2020 წლის მაისამდე საქართველო თავმჯდომარეობდა. ჩვენ იქ ჩავიტანეთ კონკრეტული წინადადებები, მზა ფორმულები, რომელთა ასახვა გვინდოდა რეზოლუციაში „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში“. მოგეხსენებათ, ამ სახელწოდების რეზოლუციებს ევროსაბჭო წელიწადში ორჯერ - როგორც წესი, გაზაფხულის ბოლოს და შემოდგომაზე - ღებულობს. პანდემიის გამო, ევროსაბჭომ რეზოლუციის მიღება 2020 წლის შემოდგომისთვის გადადო, როცა მას უკვე საბერძნეთი თავმჯდომარეობდა. ჩვენი დელეგაციის მიერ სტრასბურგში ჩატანილი წინადადებების ნაწილი 21 ოქტომბერს მართლაც ვიხილეთ ევროსაბჭოს მინისტრთა მოადგილეების შეხვედრაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში „ევროსაბჭო და კონფლიქტი საქართველოში“, 25 ნოემბერს - ევროსაბჭოს გენერალური მდივნის 22-ე კონსოლიდირებულ მოხსენებაში და ასევე ამ მოხსენებასთან დაკავშირებით ევროკავშირის 27 ნოემბრის განცხადებაში. საგარეო ურთიერთობათა კოორდინატორის ბატონ ზურაბ ჯგუბურიას დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით ეს მუშაობა აუცილებლად გაგრძელდება როგორც სტრასბურგში, ასევე ქენევაში, სადაც გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო 2017 წლიდან ღებულობს საკმაოდ ობიექტურ რეზოლუციებს სახელწოდებით „თანამშრომლობა საქართველოსთან“.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ოკუპანტების მიერ უკიდურესად შევიწროებულ, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებას მოკლებულ გალის რაიონის მოსახლეობასთან მუდმივი კომუნიკაციის დამყარებას. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა კიდევ ერთი პროექტი - კლასგარეშე დისტანციური სწავლება, ასევე ქვეპროექტი - ინგლისური ენის კურსები საქართველოს უნივერსიტეტებში გალის რაიონიდან ჩარიცხული ქართველი სტუდენტებისათვის. მოგეხსენებათ, კლასგარეშე დისტანციური სწავლება წარმოადგენს საპილოტე ვარიანტს. მიუხედავად პანდემიასთან დაკავშირებული მრავალი დაბრკოლებისა, საშემოდგომო სასესიო პერიოდში მუშაობა არ შეწყვეტილა. ჩვენ რეგულარულად ვისმენდით პროექტის ავტორისა და ხელმძღვანელის ქ-ნ ნანა კვარაცხელიას ანგარიშებს და ვიცით, რომ საპილოტე ვარიანტმა გაამართლა. ისიც კარგად ვიცით, რომ გალის რაიონში ქართული ენის გადარჩენა, დიახ, გადარჩენა, შესაძლებელია მხოლოდ დისტანციური კლასგარეშე სწავლების შემოღებით და ამ პროცესში იქაური პედაგოგების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების მასობრივად ჩართვის გზით. უკვე დროა, ეს ისტორიული მისია თავის თავზე აიღოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ - აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ. მინდა ვთხოვო ბატონ ნუგზარ მაგლობლიძეებს დაახლოებით ერთი თვის - თვენახევრის ფარგლებში აღნიშნულ საკითხზე ორგანიზება გაუკეთოს წინასწარ კარგად მომზადებულ მუშა თათბირს სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობასთან.

საკმაოდ წარმატებით მუშაობს კიდევ ერთი პროექტი - „ცხელი ხაზი“ ბატონ გურამ მაღლაკელიძის ხელმძღვანელობით. 2020 წლის სექტემბრიდან დღემდე „ცხელ ხაზზე“ 410-ზე მეტი მომართვა შემოვიდა. როგორც წინა პერიოდებში, ამჯერადაც მომართვების ძირითადი ნაწილი - ორასზე მეტი დაკავშირებულია თხოვნასთან პროდუქტების მიწოდების თაობაზე და ერთჯერად სოციალურ დახმარებასთან. დევნილები მოგვმართავენ აგრეთვე ჯანმრთელობის, განათლების, საცხოვრებელი ფართის გამოყოფის, იურიდიული კონსულტაციის და სხვა საკითხებზე. არც ერთი თხოვნა, არც ერთი შეტყობინება არ რჩება რეაგირების გარეშე. მათი ნაწილი წყდება უმაღლეს საბჭოში, მეორე ნაწილი - ჩვენი აღმასრულებელი ხელისუფლების დახმარებით, რომელთანაც „ცხელი ხაზი“ აქტიურად თანამშრომლობს. ამჟამად „ცხელი ხაზის“ კონტროლზე აყვანილია 30-მდე მომართვა. მინდა მაძლობა ვუთხრა ბატონ გურამ მაღლაკელიძეს, მაკა ბადათურიას და ნათია მესხიას დევნილთა პრობლემებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის.

დიდი რაოდენობით მომართვები მოდის „ცხელი ხაზის“ გვერდის ავლითაც, რომელთა ადრესატები ბრძანდებით თქვენ, პატივცემულო დეპუტატებო. თქვენთან ერთად მეც ყოველდღიურად ვიღებ წერილობით განცხადებებს, ასევე ზეპირ თხოვნებს სხვადასხვა საკითხებზე. უმაღლეს საბჭოში შემოსული არც ერთი განცხადება, თხოვნა სათანადო რეაგირების გარეშე არ დარჩენილა. დევნილებს ძალიან აწუხებთ ბინის პრობლემა. მათ იციან, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ მაინც ჩვენ მოგვმართავენ და

სწორადაც იქცევინ. მართალია, უმაღლესი საბჭო ბინებს არ არიგებს, მაგრამ ვალდებულია დაიცვას დევნილთა კანონიერი უფლებები ამ სფეროშიც. საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებულ საკითხებზე უმაღლესი საბჭოს აპარატში ყველაზე კომპეტენტური გახლავთ იურიდილი და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსი ქ-ნი ნინო ხუნჯუა. მას შეუძლია სათანადოდ დააკვალიანოს დევნილები, გაუწიოს აუცილებელი კონსულტაციები, მისცეს სამართლებრივად სწორი რჩევები. ასეთი რჩევების წყალობით არაერთმა ადამიანმა მისთვის მოულოდნელად ბინა მიიღო, ან ქულები მოიმატა და ბინის რიგში წინ წაიწია. ყოველივე ამისათვის რატომღაც მე მომდის დაუმსახურებელი მადლობები, რომლებსაც დიდი სიამოვნებით გიბრუნებთ თქვენ, ქალბატონო ნინო.

უმაღლესი საბჭოს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს, ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია გახლავთ აფხაზეთის მთავრობის საქმიანობაზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელება. ეფექტიანი კონტროლი, მოგეხსენებათ, გულისხმობს შედეგზე ორიენტირებულ ინტენსიურ თანამშრომლობას, ხარვეზების გამოვლენასა და მათ აღმოფხვრაში დახმარებას, გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების პერიოდულად მოსმენას, საქმიან დისკუსიებს, განსხვავებულ შეხედულებათა შეჯერებას, მთავრობისთვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მიწოდებას. უმაღლესი საბჭო ცდილობდა და ცდილობს ხელი შეუწყოს საკუთარ მთავრობას მის მიერ წარმოდგენილი და საკმაოდ მწვავე დებატების შემდეგ ჩვენს მიერ დამტკიცებული პროგრამის რეალიზებაში. ვფიქრობთ, მთავრობის კონტროლის ფუნქციას უმაღლესი საბჭო, მისი კომიტეტები, პანდემიის პიკის პირობებშიც კი ასრულებდნენ. საშემოდგომო სასესიო პერიოდში ყველა სამინისტრომ წარმოადგინა ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ, პლენარულ სხდომებზე კი შევძელით მხოლოდ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროების ანგარიშების მოსმენა. იგივე სამინისტროებს მოვუსმინეთ აფხაზეთში ხანძრის შედეგების ლიკვიდაციის კუთხით მიმდინარე სამუშაოების შესახებ. მთავრობის წევრთა ანგარიშების მოსმენა, რომელიც ორივე მხარისთვის სასარგებლოა, საგაზაფხულო სასესიო პერიოდშიც გაგრძელდება. ვთხოვ ბატონ თამაზ ხუბუას არაუგვიანეს მარტისა უზრუნველყოს შესაბამისი გრაფიკის შედგენა და მთავრობასთან მისი შეთანხმება.

მთავრობის საქმიანობის კონტროლზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი ვალდებულებაც, კერძოდ, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელშიც ვკითხულობთ: „კომიტეტის თავმჯდომარე საგაზაფხულო სესიის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა უმაღლეს საბჭოს წარუდგენს კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ წერილობით ანგარიშს“. ასეთია რეგლამენტის მოთხოვნა. ანგარიშმა უნდა მოიცვას წინა წლის, ამ შემთხვევაში 2020 წლის ორივე სასესიო პერიოდი. სამწუხაროდ, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, დღემდე ვერ შევძელით კომიტეტების ანგარიშების მოსმენის

ორგანიზება. ალბათ, დამეთანხმებით, ეს ხარვეზი აუცილებლად გამოსასწორებელია. პასუხისმგებლობა კი სპიკერატის სამივე წევრმა ჩვენს თავზე უნდა ავიღოთ.

უმაღლესი საბჭოს გამართული ფუნქციონირება წარმოუდგენელია აქტიური საინფორმაციო პოლიტიკის გარეშე. მიუხედავად პანდემიისა, სპიკერატის, ასევე ცალკეული კოლეგების მონაწილეობით ჩატარდა არაერთი ბრიფინგი, მოხდა არაერთი სატელევიზიო ჩართვის ორგანიზება. საკმაოდ ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ საინფორმაციო სააგენტო „თაიმერთან“ - ბატონ ბერდია კალანდიასთან, მედიაცენტრ „მთავართან“ ქალბატონ ეკა გულუას ხემძღვანელობით. მათი მეშვეობით ხდება არა მხოლოდ ბრიფინგების ორგანიზება, არამედ სხვადასხვა ინფორმაციების ოპერატიულად გავრცელება უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ. ნება მიბოძეთ, მუდმივი მხარდაჭერისთვის და თანადგომისთვის გულწრფელი მადლობა მოვახსენო ქალბატონ ეკას და ბატონ ბერდიას. მადლობას მოვახსენებ ასევე მედიაჰოლდინგ „კვირის“ პრესკლუბს - ქალბატონ თამუნა შეყილაძეს, რომლის სტუმარი ჩვენი კოლეგები არაერთხელ ყოფილან და, ალბათ, მომავალშიც იქნებიან.

დიდი დახმარებას გვიწევს აფხაზეთის ა/რ საინფორმაციო ანალიტიკური ცენტრი ბ-ნ იგორ კოპალიანის ხელმძღვანელობით. ცენტრის გადამღები ჯგუფები - ჟურნალისტი ელისო ხუტკუბია, რეპორტიორი ენემეო სიდიანი, ზურაბ კობახიძე სისტემატურად აშუქებენ უმაღლესი საბჭოს საქმიანობას. ამისათვის უღრმესი მადლობა მათ. ჩვენი შეფასებით, კარგად მუშაობს უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდიც - SCARA. საინფორმაციო პოლიტიკის განხორციელებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით და მადლობას იმსახურებენ ქალბატონი დალი ჯონჯუა, დავით ჟვანია და ხვიჩა ქარდავა. საყოველთაოდ ცნობილია რამდენს იღწვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, თუ ასე შეიძლება ითქვას, „მოსიარულე თვალსაჩინოება“ - ბატონი თენგიზ პაჭკორია აფხაზეთის წარმოსაჩენად, თანაც არა მხოლოდ სპორტული კუთხით, რისთვისაც ის მადლობას და მეტ დაფასებას იმსახურებს. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა უმაღლესი საბჭოს კიდევ ერთი ვებ-გვერდის შექმნაზე. მისი მართვა დაეკისრება ბატონ ზურაბ ჯგუბურიას. ეჭვიც არ გვეპარება, ახალი ვებ-გვერდი, რომლის დანიშნულებაზე წინასწარ არ ვისაუბრებთ, წარმატებული იქნება.

საინფორმაციო პოლიტიკის გატარებაში და საგარეო კავშირების გაფართოებაში დიდია ქართული დიასპორების როლი, თუმცა მსოფლიოში შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა სიტუაციამ ძალიან შეგვიშალა ხელი ამ კუთხით დაგეგმილი არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებაში. ადრე გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ვაგრძელებთ თანამშრომლობას ისეთ მსხვილ დიასპორულ ორგანიზაციასთან, როგორც არის „დიასპორების ალიანსი საქართველოსათვის“. 2020 წლის 19 დეკემბერს მან ორგანიზება გაუკეთა ონლაინ-კონფერენციას რამდენიმე ევროპული დიასპორული ორგანიზაციის მონაწილეობით. ძალიან სასიამოვნო და საინტერესოც იყო 23 დეკემბერს ჩვენს პრაქტიკაში პირველად გამართული ონლაინ შეხვედრა მოსკოველ და პეტერბურგელ ქართველ

სტუდენტებთან. რუსეთში დაბადებულ და გაზრდილ ახალგაზრდებში დავინახეთ პატრიოტული განწყობა; ისინი შესანიშნავად ფლობდნენ სიტუაციას საქართველოში, მათ შორის ოკუპირებულ რეგიონებში. სტუდენტებმა, რომლებმაც იციან, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებია, გამოთქვეს კონფლიქტების მოგვარებაში, შერიგებისა და ნდობის აღდგენის პროცესში მონაწილეობის სურვილი. ქართველ ახალგაზრდებთან შეხვედრამ დაგვარწმუნა, რაოდენ მნიშვნელოვანია რუსეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვან ქართულ დიასპორასთან ურთიერთობის დამყარება. გასაგები მიზეზების გამო, ეს არ იქნება მარტივად მოგვარებადი პრობლემა, მაგრამ, იმედი მაქვს, ქალბატონ ადა მარშანიას უმაღლეს საბჭოში დაბრუნება დაგვეხმარება მის გადაჭრაში.

ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, მთელი 2020 წლის განმავლობაში განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ კვლავაც ძალაში რჩება ისეთი პროექტები, როგორცაა მომავალი აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის შავი ვარიანტის მომზადება, ახალგაზრდული პარლამენტის ჩამოყალიბება, აფხაზეთის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუდმივი თანამშრომლობის ორგანიზება და ა. შ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მიმდინარე სასესიო პერიოდში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა გამოსწორდება და ყველა ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგმება.

სამუშაო ნამდვილად ძალიან ბევრი გვაქვს. ამიტომაც იყო საჭირო ელემენტარული პირობების შექმნა დეპუტატებისთვის, ასევე, რა თქმა უნდა, აპარატის თანამშრომლებისთვის. მადლობა აფხაზეთის მთავრობას - ბატონებს რუსულ აბაშიძეს, ანზორ მარგიანს და დავით ფაცაცას, დამატებითი ფართის გამოყოფისთვის, თუმცა ამ ფართს მოწყობა, სამუშაო პირობებისთვის მისადაგება სჭირდებოდა. როგორც ხედავთ, პანდემიის პიკის ყველაზე კრიტიკულ დღეებში მინიმალური დანახარჯებით მოხერხდა როგორც სანიტარული, ისე სამუშაო პირობების რამდენადმე გაუმჯობესება. ამ საქმეში აღმოჩენილი დახმარებისთვის, თქვენი სახელით განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ ნათელა თურნავას - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს; გაწეული დახმარებისთვის მადლობას მოვახსენებთ ასევე სოხუმის უნივერსიტეტის რექტორს ბატონ ზურაბ ხონელიძეს; საკმაოდ რთული ორგანიზაციული და ტექნიკური საკითხების მოსაგვარებლად გაწეული არანორმირებული და არანორმალურად მძიმე სამუშაოს შესრულებისთვის მადლობას ვეუბნებით აგრეთვე ჩვენს, ასე ვთქვათ, „კორონაგამძლე“ მეგობრებს - ბატონებს ზურაბ მეზონიას და გიორგი შელიას.

მიმართვის დასასრულს გვინდა იმედი გამოვთქვათ, რომ საქართველო მსოფლიო თანამეგობრობასთან ერთად დაამარცხებს კორონავირუსულ პანდემიას, ქვეყანაში დაისადგურებს მშვიდობა, უზრუნველყოფილი იქნება პოლიტიკური სტაბილურობა



- უპირველესი გარანტი და მთავარი წინაპირობა ქვეყნის წინსვლისა, მათ შორის ჩვენი აქტიური და წარმატებული საქმიანობისა.

მადლობა ყურადღებისთვის.

2021 წლის 2 თებერვალი.

